# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/147

12 ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]" ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად წარდგენილ იქნეს ეკონომიკის დოქტორის, დავით მახვილაძის კანდიდატურა;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად ეკონომიკის დოქტორის, დავით მახვილაძის კანდიდატურის დამტკიცება;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, ბატონი ბექა მაისურაძე;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დავით გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი იაშა კუტუბიძე